ვამტკიცებ,

რექტორი, ირინე შოთაძე

12/03/2018

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტთა მისაღები

კონტინგენტის ოდენობის განსაზღვრის წესი

დოკუმენტის თავდაპირველი რედაქცია:

N	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის/ბრძანების ნომერი	თარიღი
	რექტორი	ბრძანება N78	12.03.2018

განხორციელებული ცვლილებები

N	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის/ბრძანების ნომერი	თარიღი	მუხლი	შინაარსი
	რექტორის საბჭო	ოქმი N4	13.03.2024	1.1 1.2.3 1.3.1 1.3.3.1 1.3.3.2 1.3.3.3 1.3.3.4 1.4	შეიცვალა/დაემატა

1. **მუხლი - სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია**

1.1 სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის ოდენობას განსაზღვრავს თსა-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია. აღნიშნული კომისია დასკვნას წარუდგენს რექტორის საბჭოს, რის შედეგადაც რექტორის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სტუდენთა მისაღები კონტინგენტის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

1.2 კომისია, სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის ოდენობის განსაზღვრისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით:

შიდა ფაქტორები:

1.2.1 საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა;

1.2.2 ადამიანური (აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი) რესურსი;

1.2.3 მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

1.2.3.1. საბაზისო სწავლებისათვის გამოყოფილი სასწავლო ფართი - აკადემია ვალდებულია სასწავლო პროცესი უზრუნველყოს აუცილებელი ტექნიკითა და ავეჯით (კომპიუტერი, პროექტორი, მაგიდა, სკამი და ა.შ) აღჭურვილი აუდიტორიებით;

1.2.3.2. საგამოცდო ცენტრის ტევადობა;

1.2.3.3. კლინიკური უნარ-ჩვევებისა და ობიექტურად სტრუქტურირებული გამოცდების ცენტრის ტევადობა;

1.2.3.4. ბიბლიოთეკის ტევადობა;

1.2.3.5. კლინიკური დისციპლინების შესწავლისათვის საჭირო კლინიკური ბაზები;

1.2.3.6. პრაქტიკის / სამეცნიერო-კვლევით ობიექტებთან თანამშრომლობა;

1.2.4 მოსალოდნელ კურსდამთავრებულთა რაოდენობა;

გარე ფაქტორები:

1.2.5 დამატებითი ინდიკატორის სახით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი.

1.3 სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია:

1.3.1. პროგრამების სპეციფიკასთან მიმართებაში უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელით მოთხოვნილი კრიტერიუმების გათვალისწინება (არსებობის შემთხვევაში);

1.3.2. ადამიანური (აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი) რესურსის მიხედვით:

1.3.2.1. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სასწავლო და საკონსულტაციო დატვირთვა განისაზღვრება კვირაში მაქსიმუმ 24 საათით, ხოლო მოწვეული პერსონალის, ინდივიდუალურად, არაუმეტეს საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი სამუშაო განაკვეთის ფარგლებში;

1.3.2.2. ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან მიზანშეწონილია არ აღემატებოდეს 1:50-ს.

1.3.3. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიხედვით მოიცავს როგორც სასწავლო ფართს (საგამოცდო და კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრების ჩათვლით), ასევე ბიბლიოთეკას.

1.3.3.1. სასწავლო ფართი - თსა-ში არსებული სასწავლო ფართი სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებაში (საგანმანათლებლო მიზნებისთვის სწავლო ფართი ხელმისაწვდომია კვირაში 54 საათის განმავლობაში);

1.3.3.2. საგამოცდო ცენტრი - თსა-ს საგამოცდო ცენტრში ადგილების რაოდენობა გამოსაცდელ სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებაში (საგამოცდო ცენტრი სტუდენტთა შეფასების მიზნით ხელმისაწვდომია კვირაში 48 საათის განმავლობაში).

1.3.3.3. კლინიკური უნარ-ჩვევებისა და ობიექტურად სტრუქტურირებული გამოცდების ცენტრი: აღნიშნულ ცენტრში განსახორციელებელი მეცადინეობების რაოდენობა რეალურად არსებულ რესურსთან მიმართებაში (კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი სტუდენტთა სწავლებისთვის ხელმისაწვდომია კვირაში 36 საათის განმავლობაში);

1.3.3.4. ბიბლიოთეკა: სამკითხველო დარბაზსა და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილ სივრცეებში არსებული ადგილები სტუდენტთა დღიურ ნაკადთან მიმართებაში (საბიბლიოთეკო სივრცე სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია კვირაში 68 საათის განმავლობაში).

1.3.4. კლინიკური დისციპლინების შესწავლისათვის საჭირო კლინიკური ბაზების შეფასება ხდება როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით და შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

1.3.4.1. თითოეული სასწავლო კურსისათვის შესაბამისი პროფილი კლინიკასთან/დეპარტამენტთან არსებული ხელშეკრულება;

1.3.4.2. სტუდენტების წვდომა საოპერაციოში, სამანიპულაციოში, კლინიკის ლაბორატორიაში და ა.შ. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად.

1.4. მოსალოდნელ კურსდამთავრებულთა რაოდენობა განისაზღვრება დამამთავრებელ კურსზე არსებულ სტუდენტთა რაოდენობით. სტუდენტთა მისაღები თავისუფალი ადგილების გამოსათვლელად სტუდენტთა ზღვრულ კონტინგენტს აკლდება მოსალოდნელ კურსდამთავრებულთა რაოდენობა;

1.5. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კარიერული მხარდაჭერის, სტუდენტებთან და

კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურებთან ერთად ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ახდენს მონაცემების რევიზიას და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის გამოთვლას კვალიფიკაციის მიხედვით (დასაქმების მისაღები მაჩვენებელი 75%). აღნიშნული მონაცემი დამატებით ინდიკატორს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების შეფასებისათვის. შესაბამისად, ხდება მისი გათვალისწინება პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრისას.

2. მუხლი - დასკვნითი დებულებები

2.1 წინამდებარე წესს ამტკიცებს რექტორს საბჭო.

2.2 წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა ხდება მისი დამტკიცების წესით.

2.3 წინამდებარე წესი ძალას კარგავს ახალი სტუდენტთა მისაღები კონტიგენტის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შემთხვევაში.